Mayors for Economic Growth

მერები ეკონომიკური ზრდისთვის (M4EG)

კონცეფცია

მარტი 2017

EuropeAid/155272/DH/ACT/Multi
Annex P - Mayors for Economic Growth Concept

სარჩევი

აბრევიატურები....3
რას გულისხმობს ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG)? 4
M4EG ინიციატივის საფუძვლები....5
მიზნები....7
კეთილი იყოს თქვენი მობრძანება M4EG კლუბში!....8
ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მართვა M4EG ინიციატივის მეშვეობით....9
M4EG ინიციატივის თემატური ბლოკები....10
ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების წარმატებული მაგალითები....15
M4EG ინიციატივის მუშაობის პრინციპი....17
M4EG-ის სამდივნოს როლი....21
საგრანტო მხარდაჭერა....27

აბრევიატურები

M4EG	—	ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“
EU	—	ევროკავშირი
EaP	—	„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივა
CoM	—	(ევროკავშირის) ინიციატივა „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისათვის“
CSOs	—	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები
WB	—	მსოფლიო ბანკი
LAs	—	ადგილობრივი ხელისუფლება
LED	—	ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება
LEDP	—	ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა
IFIs	—	საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები
CD	—	შესაძლებლობების განვითარება
PPD	—	საჯარო-კერძო სექტორების დიალოგი

რას გულისხმობს ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG)?

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივას, რომელიც 2016 წლის 26 ოქტომბერს, ქალაქ ერევანში მიმდინარე მაღალი დონის კონფერენციის დროს დაიწყო[1] და მიმართულია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მოქმედ ადგილობრივ ხელისუფლებებზე: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა [2].

მერების შეთანხმება

დაწყებული 2008 წლიდან, ევროკავშირის ინიციატივა „მერების შეთანხმება“ (**Covenant of Mayors, CoM**) დახმარებას უწევს იმ მუნიციპალურ ორგანოებს, რომელთაც ხელი მოაწერეს აღნიშნულ შეთანხმებას და მოხალისეობრივ საწყისებზე იღებენ პასუხისმგებლობას განავითარონ და გაატარონ უფრო მეტად მდგრადი ადგილობრივი ენერგეტიკული პოლიტიკა, რაც მიიღწევა განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების ზრდით, ენერგოეფექტურობის პროგრამების დანერგვითა და კლიმატის ცვლილების გავლენისადმი მომზადების მეშვეობით.

2015 წლის ბოლოსათვის მომზადდა მერების **ახალი და ინტეგრირებული შეთანხმება კლიმატის ცვლილებისა და ენერგიის გამოყენების თაობაზე,** რომელიც იზიარებს 2030 წლისათვის დასახულ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლისა და ენერგიის გამოყენების გლობალურ მიზნებს. შეთანხმება მიზნად ისახავს მოიცვას ინიციატივა „მერების ადაპტაცია/ Mayors Adapt“, რომელიც ეხება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და მდგრად ენერგორესურსებზე საყოველთაო წვდომის ხელშეწყობის საკითხებს. ერთიანი გლობალური ქსელის გამართვა წარმოადგენს შეთანხმების წევრი ქალაქების პასუხს გლობალურ COP21 შეთანხმებაზე, რომელიც პარიზში იქნა მიღწეული.

ევროკავშირის მიერ ამ პროექტის მხარდაჭერა გაიზარდა და ამჟამად გულისხმობს:
-დაეხმაროს მერების შეთანხმების აღმოსავლეთის წარმომადგენლობას (CoMO East, რომელიც ასევე წარმოადგენს CoM-ის სამდივნოს ფილიალს EaP-ში) დახმარება გაუწიოს ქალაქებს ხელი მოაწერონ შეთანხმებას და დასახონ და განახორციელონ მდგრადი ენერგეტიკის ხელშემწყობი სამოქმედო გეგმა (SEAP) ან მსგავსი პროექტები;
-შექმნას საგრანტო სქემა საჩვენებელი პროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენენ თუ როგორ შეიძლება მდგრადი ქმედებების განხორციელება, რათა მოხერხდეს წარმატებული მაგალითების გაზიარება ფართო საზოგადოებისათვის;
-დაეხმარება გაუწიოს გუნდებს, რათა მათ მხარი დაუჭირონ და წარუძღვნენ ადგილობრივ ხელისუფლებას მათი საგრანტო პროექტების განხორციელების პროცესში **(მდგრადი ურბანული განვითარების პროექტების** SUDeP მექანიზმი).

დღესდღეობით, 150 მუნიციპალურ ორგანოზე მეტმა მოაწერა ხელი მერების შეთანხმებას და აგრძელებენ აქტიურ მუშაობას დასახული მიზნების მისაღწევად.

http://www.euMayors.eu,
http://www.soglasheniemerov.eu

M4EG-ის მთავარ მისიას მდგრადი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება (LED) წარმოადგენს. მისი მიზანია მერებისა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე, რათა მათ აქტიურად შეუწყონ ხელი ეკონომიკურ განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რის მიღწევასაც საკუთარი შესაძლებლობების გაფართოვებისა და ტექნიკური უნარების განვითარებით და კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის მეშვეობით შეძლებენ.

მდგრადი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება არის პროცესი, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება მუშაობს პარტნიორებთან ერთად (კერძო სექტორი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები), რათა გაუმჯობესდეს ადგილობრივი ბიზნეს გარემო და ამგვარად შეიქმნას ხელშემწყობი პირობები კერძო სექტორის მიერ მართული ეკონომიკური განვითარებისა და დასაქმების გაზრდისათვის, რაც ერთნაირად მოუტანს სარგებელს მთელს საზოგადოებას ადგილობრივი თუ ეროვნული მასშტაბით. თუმცაღა, აღნიშნული ეკონომიკური ზრდა აუცილებლად უნდა იყოს გარემოს დაცვისა და საზოგადოებრივი თვალსაზრისით მდგრადი.

[1] http://www.covenantofMayors.eu/IMG/pdf/High_Level_Conference_CoM_East_Launch_YeFrevan_Press-Release_Final_ENG.pdf
[2] ინიციატივის ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს კონსორციუმი, რომელსაც ხელმძღვანელობს ECORYS BV Nederland, GFA Consulting ჯგუფის დახმარებით, ასევე Policy and Management Consulting Group და Noblet Media CIS და VASSR როგორც მათი პარტნიორები.

მუნიციპალიტეტებს მიეცემათ შესაძლებლობა თავად შექმნან ან მოარგონ უკვე არსებული ადგილობრივი ეკონომიკური გეგმა კარგი მმართველობისა და საჯარო-კერძო სექტორების დიალოგის პრინციპებს, რათა ამ პროცესის განმავლობაში გამოვლინდეს საჭირო პრაქტიკული ნაბიჯები და საბოლოოდ შეთავაზებულ იქნას ის პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს ზრდას, განვითარებასა და დასაქმებას. ეს იქნება კარგი შესაძლებლობა მუნიციპალიტეტებისა და ქალაქების მმართველი ორგანოებისათვის გახდნენ უფრო გამჭვირვალე, ინკლუზიური და ბიზნესისადმი მეგობრული.

ეს ინიციატივა ნაწილობრივ შთაგონებულ იქნა „მერების შეთანხმების“ წარმატებული პროექტის მიერ, რომელიც წარმოადგენს ინიციატივას ურბანული კლიმატისა და ენერგეტიკის შესახებ და სათანამშრომლოდ აერთიანებს ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული დონის მმართველ ორგანოებს, რომლებიც მოხალისეობრივ საწყისებზე იღებენ პასუხისმგებლობას დანერგონ და გაატარონ ევროკავშირის კლიმატის ცვლილებისა და ენერგოეფექტური მიზნობრივი პოლიტიკა.
ამ ინიციატივის მოხალისეობრივი საწყისი, გამაერთიანებელი მიდგომა და კონკრეტული მიზნები არის მიზეზი იმისა, რომ „მერების შეთანხმება“ წარმოადგენს ძალზედ წარმატებულ პროექტს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში.

M4EG ინიციატივის საფუძვლები

ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ გულისხმობს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისადმი იმგვარ მიდგომას, რომელმაც ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სარგებელი მოიტანა მსოფლიოში და განსაკუთრებით ევროკავშირის მასშტაბით. ეს მიდგომა ეფუძნება შემდეგ მოსაზრებებს:

- მსოფლიოში არსებული სამუშაო ადგილების სამი მეოთხედი შექმნილია კერძო სექტორში. შესაბამისად, კერძო სექტორის გაზრდა წარმოადგენს ეკონომიკური, სოციალური და დასაქმების სექტორის ფართო მასშტაბის განვითარების უმთავრეს პირობას.

- თითოეულ რეგიონს, ქალაქსა და რაიონს აქვს განსაკუთრებული სიძლიერე, რაც შესაძლებელია გამოყენებულ და მიმართულ იქნას ზრდის, განვითარებისა და დასაქმების უზრუნველსაყოფად.

- ზრდა და განვითარება დამოკიდებულია მრავალ გლობალურ ფაქტორზე, თუმცა მათზე ასევე უდიდეს გავლენას ახდენს ადგილობრივად გამოვლენილი ძალისხმევა. გლობალური მოთამაშენი მხოლოდ ისეთ ადგილებს არჩევენ ინვესტიციის ჩასადებად, სადაც მიმზიდველი და ხელსაყრელი ადგილობრივი პირობებია. არსებობს უამრავი მაგალითი იმისა, რომ ინვესტორები ეძებენ ადგილობრივი ფაქტორების ერთობლიობას, როდესაც განიხილავენ ინვესტირების შესაძლებლობებს ქვეყნის ერთ ნაწილში და არა მეორეში: ბაზრებთან კავშირი; ადამიანური რესურსების შესაძლებლობა, მიწა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, თანამშრომლობისათვის გახსნილი ადგილობრივი ხელისუფლება, კარგი ადგილობრივი სერვისები, ცხოვრების ისეთი დონე და ხარისხი, რომელიც მოტივაციას უჩენს მენეჯმენტსა და თანამშრომლებს დასაქმდნენ და იცხოვრონ იქ, სადაც კომპანია ინვესტიციის ჩადებას გადაწყვეტს და სხვა. ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთაგან მრავალს განსაზღვრავს ადგილობრივად განხორციელებული ქმედებები.

- კერძო სექტორის ზრდას სამეწარმეო და სავაჭრო სექტორებში შეუძლია გამოიწვიოს იმ პროდუქციის ღირებულების ზრდა, რომელსაც მოცემული რაიონი აწარმოებს და ყიდის სხვაგან და დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში; მასზე ასევე მოქმედებს ჩადებული ინვესტიციები და ისწრაფვის ეფექტურობისაკენ, რაც შესაბამისად უფრო მაღალი დონის პროდუქტიულობას უზრუნველყოფს. იგი ქმნის და ხელს უწყობს უფრო მასშტაბური განვითარების მომტან რესურსებს (ფინანსური რესურსები და ადამიანური შესაძლებლობები, ისევე როგორც ტალანტი), რომელთაც თავისი წვლილი შეაქვთ სოციალური სერვისების გაუმჯობესებაში და ცხოვრების ხარისხისა და ადამიანური განვითარების დონის ამაღლებაში.

- ყველაზე დიდი ზრდის სტიმულირება შეუძლია იმ საქმიანობას, რომელიც აღმავალი გზით ხორციელდება (ქვევიდან-ზევით, "bottom-up") და თავად ადგილობრივი თემის მიერ ხორციელდება, რომლებიც იყენებენ ადგილობრივ რესურსებს (ადამიანებს, ბუნებრივ და კულტურულ აქტივებს, ისტორიულ და გეოგრაფიულ უპირატესობებს და სხვა). ეს ყველაზე მეტად აისახება ისეთ სექტორებში, როგორიცაა ტურიზმი; სოფლის მეურნეობა და საკვების გადამუშავება; ცოდნისა და შემოქმედებითი სექტორი; ადგილობრივი რეწვა; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სერვისები; მცირე ზომის წარმოება და მანუფაქტურა (სადაც ნედლი მასალა და გადამუშავების პროცესი ადგილობრივია); და სხვა.

- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება (LED) ყველაზე წარმატებული მაშინ არის, როდესაც იგი ეფუძნება საჯარო-კერძო სექტორების ურთიერთთანამშრომლობას. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების უმთავრეს მონაწილეებს წარმოადგენენ ადგილობრივი ხელისუფლება და ბიზნეს წრეები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ადგილობრივი თემის წარმომადგენლები ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ამ პროცესში. M4EG ინიციატივის ფარგლებში და შემდგომში მათ შორის ურთიერთობას ეწოდება **ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობა.**

- ადგილობრივი სამეწარმეო და სავაჭრო სექტორების ზრდა ქმნის ისეთ შესაძლებლობებსა და პირობებს, რომელიც თავის მხრივ ზრდის ვაჭრობას, მოხმარებას, მშენებლობასა და სხვა ადგილობრივ სერვისებს და შესაბამისად უდიდეს ბიძგს აძლევს დასაქმებას. წარმატება ბადებს წარმატებას და ნებისმიერ არეალს გარდაქმნის კიდევ უფრო მიმზიდველად, სადაც ადამიანებს სურთ ცხოვრება, მუშაობა, გამგზავრება და ინვესტიციების ჩადება. პოზიტიური იმიჯი ნებისმიერ ადგილს გადააქცევს მიმზიდველად და ქმნის დინამიზმისა და მაგნეტიზმის მუხტსაც კი. სწორედ ესენი წარმოადგენენ იმ „რბილ" ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ მეწარმეობასა და ინვესტიციებს და ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს.

- ბუნებრივი და გეოგრაფიული ფაქტორები არ წარმოადგენენ მთავარ განმსაზღვრელს ზრდისა და განვითარებისათვის თანამედროვე ეკონომიკებში: ორგანიზება, ტექნიკური ცოდნა „ნოუ-ჰაუ", მართვა, განათლება და ინოვაციები ფართო გაგებით წარმოადგენენ იმ მნიშნელოვან ფაქტორებს, რაც ხელს უწყობს და უბიძგებს ზრდისა და განვითარების პროცესს. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება გულისხმობს ამ პირობების სწორად განლაგებას ლოკალურად და გონიერ და ეფექტურ მუნიციპალიტეტებს ძალუძთ ამ მიზნის მიღწევა.

მიზნები

M4EG-ის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა EaP-ის წევრ ქვეყნებში, რათა ისინი გახდნენ ეკონომიკური განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშემწყობნი მოცემულ რეგიონში და ასევე, შექმნან შესაძლებლობა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანამონაწილეობის, საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებისათვის.

აღნიშნული ინიციატივის უახლოეს მიზანს წარმოადგენს შეთანხმების წევრი ადგილობრივი ხელისუფლებისა და მათი პარტნიორების (კერძო სექტორი და სამოქალაქო საზოგადოება) შესაძლებლობების გაფართოვება და განვითარება, რათა მიღწეულ იქნას შემდეგი:

- ადგილობრივი ხელისუფლებისა და მათი პარტნიორების მხარდაჭერა და წახალისება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შექმნისა და განხორციელების პროცესში, რომელიც გამოავლენს უმთავრეს ლოკალურ ეკონომიკურ მამოძრავებელ ძალას და დაეფუძნება საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასა და მიდგომებს;
- ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური უნარების გაუმჯობესება და მათი შესაძლებლობების განვითარება, რათა განახორციელონ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, კარგი მმართველობისა და მყარი ფინანსური მართვის პრინციპების თანხვედრით;
- ადგილობრივი პარტნიორობისა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის შექმნის წახალისება, რაც დაეფუძნება საჯარო-კერძო სექტორების დიალოგის (PPD) პრინციპებს, რათა წახალისდეს ის ქმედებები, რომლებიც ხელს უწყობს ზრდას, განვითარებასა და დასაქმებას;
- ადგილობრივი განვითარების მთავარი აქტორების წახალისების მიზნით, „ნოუ-ჰაუსა“ და საუკეთესო გამოცდილების განვითარება და გავრცელება, ახალი მიდგომების ჩვენება სამუშაო ადგილას და განვითარებაზე ორიენტირებული ადგილობრივი პოლიტიკისა და საქმიანობის შენარჩუნება.

M4EG ინიციატივა ისეთ მიდგომას სთავაზობს თავის პარტნიორებს, რომელიც მუნიციპალიტეტებს დაეხმარება მიაღწიონ შემდეგს:

- დაინახონ საკუთარი შესაძლებობები, რათა შეძლონ ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება;
- შეიძინონ აუცილებელი ცოდნა და უნარები, რათა გააფართოვონ საკუთარი შესაძლებლობები და განახორციელონ დადებითი ცვლილებები;
- შექმნან მათზე მორგებული გადაწყვეტები, რაც დადებითი ცვლილებების განხორციელებას შესაძლებელს გახდის;
- განახორციელონ განვითარებაზე ორიენტირებული ქმედებები და შეაფასონ მიღწეული შედეგები.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება M4EG კლუბში!

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ინიციატივაში ჩართვით ქალაქებს ექნებათ წვდომა მრავალფეროვან ექსკლუზიურ და დამხმარე სახის სერვისებზე, მაღალი დონის ექსპერტულ ცოდნაზე და ასევე, დამატებით ქვევით ჩამოთვლილ სხვადასხვა შესაძლებლობებზე.

ინიციატივაზე ხელის მოწერის მეშვეობით ისინი ხდებიან მოწინავე პროფესიონალური საზოგადოებისა და ქსელის წევრები, რომელიც თითოეულ წევრს სთავაზობს მნიშვნელოვან სარგებელს ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით და რეპუტაციის გაუმჯობესების მხრივ:

- ექსპერტების მხარდაჭერა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის დასახვისა და განხორციელების პერიოდში;
- უფასო წვდომა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების შესახებ რჩევებსა და საერთაშორისო საექსპერტო ცოდნაზე;
- დახმარება კონკრეტული პროექტების გამოვლენასა და განვითარებაში და მხარდაჭერა მათი განხორციელების პროცესში;
- მიღწევების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მხარდაჭერა, რაც დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას ისახავს მიზნად;
- დახმარების გაწევა გრანტების მოძიებისა და პროექტის შეთავაზების მომზადების პროცესში;
- კავშირი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და პოტენციურ ინვესტორებთან:
- ისეთი ადგილობრივი პარტნიორების მობილიზება და ჩართვა პროცესში, როგორებიცაა ბიზნესის, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინსტიტუტები და არასამთავრობო ორგანიზაციები;
- წვდომა საერთაშორისო პარტნიორებსა და მსგავს მმართველ ორგანოებთან;
- ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის ქვეყანათაშორისი თანამშრომლობის მხარდაჭერა EaP-ის მთელ რეგიონში;
- თანამშრომლების გაცვლის ინსტრუმენტები;
- ტრენინგები, სასწავლო ტურები და თემატური სემინარები მუნიციპალური ორგანოს თანამშრომლებისა და ადგილობრივი პარტნიორებისათვის;
- წვდომა სასარგებლო ინფორმაციაზე და მისი გავრცელება;
- საკონტაქტო ფორუმისა და კლუბის „M4EG Club“ წევრობა;
- „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ინიციატივის სპეციალური ლოგოს გამოყენების უფლება ხელმომწერი მუნიციპალიტეტებისათვის შიდა და თუ გარე პოზიციონირების დროს.

ევროკავშირი, M4EG-ის სამდივნოსა და სხვა პარტნიორების (როგორიცაა მსოფლიო ბანკი) ხელშეწყობით, იღებს პასუხისმგებლობას და შესწევს უნარი გააფართოვოს და განავითაროს ადგილობრივი პარტნიორების შესაძლებლობები, რათა ხელი შეეწყოს ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებას.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მართვა M4EG ინიციატივის მეშვეობით

M4EG ინიციატივის ფარგლებში ეკონომიკურ განვითარებას ლოკალურად შეეწყობა ხელი მუნიციპალური ორგანოების მიერ და მთავარი აქცენტი გადატანილი იქნება ზრდაზე, დასაქმებასა და სამუშაო ადგილების შექმნაზე. ეს მიდგომა გულისხმობს შემდეგს:

- პარტნიორობა (LED პარტნიორობა) ადგილობრივ ხელისუფლებას, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს შორის;
- მოთხოვნაზე ორიენტირებული დახმარება პატარა კომპანიებს და უკვე მოქმედ ან პოტენციურ ინდივიდუალურ მეწარმეებს;
- გარე ფაქტორებზე დაყრდნობისა და მთავრობის მაღალი ეშელონებისაგან ინიციატივის ლოდინის ნაცვლად, ისეთ ქმედებებზე ფოკუსირება, რომელიც წაახალისებს განვითარებას;
- პრაქტიკული და ფოკუსირებული მიდგომა, რომელიც ხასიათდება კონკრეტული ქმედებებით - ბევრი მათგანი შესაძლებელია იყოს მცირე, მაგრამ ყველა ერთად შეთანხმებული გეგმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს;
- სპეციალური სისტემა დიალოგისა და მონიტორინგისათვის და ასევე, გეგმების უწყვეტი ცვლილებებისა და ადაპტაციისათვის, რომელიც მიზად ისახავს უპასუხოს ადგილობრივ საჭიროებებს;
- ურთიერთთანამშრომლობა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებსა და თავად მუნიციპალიტეტების სტრუქტურებს შორის, ასევე სხვა საზოგადოებრივ ორგანოებსა და მთავრობის მაღალ ეშელონებს შორის;
- ორიენტირება შედეგებზე და იმ სარგებელის დანახვა, რომელიც დროთა განმავლობაში გროვდება ადგილობრივად ზრდის, განვითარებისა და დასაქმების კუთხით.

არსებობს გარკვეული განსხვავებები მუნიციპალური მართვის კუთხით აღმოსავლეთის პარტნიორობის (EaP) ექვსივე ქვეყანაში, თუმცა ყოველი მოდელი გულისხმობს სახელმწიფოს, სამინისტროების, სააგენტოებისა და ზოგიერთი რეგიონული მმართველობითი ორგანოს აქტიურ ჩართვას ეკონომიკური განვითარების სტიმულირებისა და მხარდაჭერის პროცესში. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მიზნით M4EG-ის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები მიზნად ისახავს რაც შეიძლება მეტი რეგიონული თუ ეროვნული დონის აქტორების ჩართვას განვითარების პროცესში, რათა ადგილობრივმა მონაწილეებმა უფრო მეტად ისარგებლონ ამ პროცესით; თუმცა, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ქმედებების უმთავრეს ფოკუსსა და მიზანს წარმოადგენენ ის ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ უწყობენ ხელს ზრდას, განვითარებასა და დასაქმებას და ამავე დროს მათი მართვა და სტიმულება შესაძლებელია ადგილობრივად განხორციელებული ქმედებებისა და ძალისხმევის მეშვეობით.

EaP-ის მრავალ ქვეყანას უკვე საკმაო გამოცდილება აქვს ეროვნული თუ რეგიონული განვითარების დაგეგმვის კუთხით - ზოგიერთმა მათგანმა ეს გამოცდილება მემკვიდრეობად მიიღო ადრინდელი ცენტრალიზებული დაგეგმვის პრაქტიკიდან, ხოლო ზოგმა თავად შეიმუშავა ეს მიდგომა ბოლო 10-15 წლის განმავლობაში, დონორების აქტიური დახმარების მეშვეობით და ეს განსაკუთრებით ეხება რეგიონული განვითარების საკითხს. იქ, სადაც ეს გეგმა არსებობს და მუშაობს, M4EG ინიციატივა გააგრძელებას შენებას უკვე აგებულ ბაზისზე და კიდევ უფრო განავითარებს და წაახალისებს მშენებლობის პროცესს.

M4EG ინიციატივის თემატური ბლოკები

M4EG-ის ფარგლებში, მუნიციპალიტეტები და მათი პარტნიორები კერძო სექტორიდან წახალისდებიან მეტი ყურადღება გადაიტანონ ისეთი საკითხების მთავარ „ბლოკებზე“ („თემატური ბლოკები“), რომლებიც წარმოადგენენ ფუნდამენტურ წინაპირობას კერძო სექტორის ზრდისათვის.



ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება (Networking)

ადგილობრივი საჯარო-კერძო სექტორების თანამშრომლობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისათვის. მუნიციპალიტეტებს ყველაზე უკეთ შეუძლიათ მსგავსი თანამშრომლობის ინიცირება, რომელიც ყველაზე ხშირად ისეთ სფეროებშია საჭიროა, როგორიცაა:

- *ცოდნა და უნარები* (მუნიციპალიტეტი-პროფესიული განათლებისა და ტრენინგების ადგილობრივი მომწოდებელი-კომპანიები)
- *ბიზნესის ინფრასტრუქტურა* (მუნიციპალიტეტი-ბიზნესის მხარდაჭერის სერვისები-კომპანიები და ინდივიდუალური მეწარმეები), განსაკუთრებით ეკონომიკის იმ სექტორებში, სადაც საჭიროა გადადგმული ნაბიჯების ფრთხილად გაზომვა, ერთობლივად დაგეგმვა და თანმიმდევრობით განხორციელება (როგორიცაა ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და პროდუქციის გადამუშავება, საინფორმაციო ტექნოლოგიები, კულტურა და ხელოვნება, მცირე მეწარმეობა, ინოვაციები და სხვა).

წარმატებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო ქმედებები (ზოგი მათგანი მოცემულია ქვევით) ხშირად მოითხოვს **საჯარო-კერძო სექტორებს შორის დიალოგსა და პარტნიორობას** რაღაც ფორმით. დიდმა, უფრო მეტად ურბანულმა მუნიციპალიტეტებმა შესაძლებელია მოახერხონ ინოვაციებისადმი ე.წ. „სამმაგი სპირალის“ მიდგომის შემუშავების ხელშეწყობა (ბიზნესი-საჯარო სექტორი-აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტები).

ბიზნეს-მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია

ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მოქმედი სამუშაო გარემოს შექმნა და შენარჩუნება სხვა აქტორებისათვის, მათ შორის კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის. რაც უფრო **ღია, პროგნოზირებადი** და **გამჭვირვალე** იქნება ეს გარემო, მით უფრო სიცოცხლისუნარიანი, ეფექტური და ჯანსაღი გახდება თავად სისტემა სრულიად.

მართალია უმნიშვნელოვანესია ის, თუ **რა** წესები და რეგულაციები არსებობს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო სფეროებში (ეს საკითხის კიდევ ერთხელ იქნება განხილული ქვეპარაგრაფში), მაგრამ გადამწყვეტია ის ფაქტორი, თუ **როგორ** არის ეს წესები და რეგულაციები პრაქტიკაში დანერგილი და გამოყენებული. **ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის** მიმართ და კარგი მმართველობის პრინციპების განუხრელი შესრულება (როგორიცაა მონაწილეობა, ინკლუზიურობა, ანგარიშვალდებულება და კანონის უზენაესობა) წარმოადგენენ ორ უმთავრეს **წინაპირობას** იმისათვის, რომ გაიზარდოს რწმენა ბიზნეს წრეებში, ნდობა სამოქალაქო საზოგადოებაში და ზოგადი კმაყოფილება ადგილობრივ მოსახლეობაში.

ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების გარდა, მმართველი ორგანოების საერთო იმიჯისა და რეპუტაციის მიმართ ასეთივე განსაკუთრებული ინტერესით გამოირჩევიან ისეთი საერთაშორისო აქტორებიც, როგორებიცაა უცხოელი ინვესტორები და დონორი ორგანიზაციები, რომლებიც სწორედ იმიჯს მიიჩნევენ გადამწყვეტ **ფაქტორად** მმართველ ორგანოებთან თანამშრომლობის საკითხის განხილვისას.

საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ბიზნეს რეგულაციები მუშავდება ეროვნულ დონეზე, ზოგიერთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლის შესრულება საკანონმდებლო მოთხოვნების ჩამოყალიბების პროცესში, რომელიც ეხება ადგილობრივ კომპანიებს (როგორიცაა კომპანიის რეგისტრაციის პროცედურები, ადგილობრივი გადასახადები და სხვა). ადგილობრივი ხელისუფლება ასევე ფლობს გარკვეულ კონტროლს დაგეგმვის პროცესზე **(სამუშაოების წარმოების ნებართვა,** მიწის გამოყენება და იჯარა და სხვა).

ზოგიერთი მუნიციპალიტეტი, ასევე პასუხისმგებელია სხვადასხვა სახის საკანონმდებლო მოთხოვნების დანერგვაზე, რომლებიც ისეთ ტრანზაქციულ ხარჯებს აკისრებენ კომპანიებს, როგორიცაა: სახანძრო უსაფრთხოების ინსპექცია, სანიტარული და ჰიგიენური ინსპექცია, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის წესები და ა.შ. ამ სერვისების განხორციელება, ბუნებრივია, უნდა მოხდეს კანონთან თანხვედრაში, ეფექტურად, სამართლიანად და გამჭვირვალედ, თუმცა ამავე დროს მარტივად და რაც შესაძლებელია ნაკლები ბიუროკრატიულობით.

მნიშვნელოვანია, რომ მეწარმეებმა შეძლონ ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო დახმარების მიღება მუნიციპალიტეტის თითოეულ რაიონში, რათა არ დასჭირდეთ დიდ მანძილზე გამგზავრება ამ დახმარების მისაღებად; ასევე, მნიშვნელოვანია მეწარმეებს ჰქონდეთ შეგრძნება

იმისა, რომ მათი საჭიროებები გათვალისწინებული და განხილული იქნება მიუკერძოებლად და ობიექტურად.

მსგავსი მიდგომა საჭიროებს **ბიზნესის მხარდაჭერის სერვისების** ეფექტურ სისტემას, რომელიც აქტიურად ეხმარება ბიზნეს სექტორს და მოიცავს შემდეგ სერვისებს (და არა მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილს):

- *საჭირო ინფორმაციის მიწოდება და კონსულტაციის გაწევა (ინფორმაცია პროდუქტისა და ბაზრის შესახებ, პროფესიული კონსულტაციის გაწევა და სხვა);*
- *ბიზნეს სექტორის წევრებს შორის თანამშრომლობისა და ბიზნესის კლასტერის შექმნის მხარდაჭერა;*
- *ადგილობრივი ღირებულების დარიცხვის ჯაჭვის შექმნის მხარდაჭერა.*

მომსახურების მიხედვით, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი, შესაძლოა, მიეწოდოს პოტენციურ მეწარმეებს ან ინვესტორებს, მცირე ბიზნესებს ან კომპანიათა ჯგუფებს. თუ მუნიციპალიტეტი თავად არ უზრუნველყოფს ამ სერვისების მიწოდებას, მას საშუალება აქვს გამოიყენოს საკუთარი **ავტორიტეტი, რათა შექმნას და მხარი დაუჭიროს სერვისების მიწოდების უზრუნველყოფას** მოცემულ რეგიონში.

შესაძლოა მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებული ბევრი სერვისი იყოს ბიზნეს-რელევანტური ან ბიზნესზე ფოკუსირებული, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტი იყოს ბიზნესისადმი მეგობრული, სარგებლობდეს ნდობით თავის პარტნიორებსა და ბიზნეს სტრუქტურებში და მოქმედებდეს საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით. სერვისები, რომელსაც ის უზრუნველყოფს უნდა იყოს სწრაფი, ეფექტური, გამჭვირვალე და სასარგებლო მეწარმეებისა და ინვესტორებისათვის; იმისათვის რომ ამ მოთხოვნებს პასუხობდეს, შესაძლოა, ადგილობრივ ხელისუფლებას დასჭირდეს ამ სერვისების გადაფასება და გარდაქმნა, რაც უნდა დაეფუძნოს კერძო სექტორისაგან მიღებულ უკუკავშირს.

წვდომა ფინანსებზე

წვდომა ფინანსებზე და ასევე, ინფორმაციაზე დაფინანსების შესაძლო საშუალებების შესახებ, ძალიან ხშირად წარმოადგენს უდიდეს პრობლემას ბიზნეს სექტორისათვის და განსაკუთრებით მცირე მეწარმეებისათვის. მუნიციპალიტეტებსა და ქალაქის მმართველობებს შეუძლიათ უზრუნველყონ **ინფორმაციისა და ბიზნეს დახმარების სერვისების** მიწოდება, რომელიც მეწარმეებს აცნობებს ისეთი არსებული ფინანსური რესურსების შესახებ, როგორიცაა მიკრო საკრედიტო სქემები, მეწარმეთა დახმარების ეროვნული პროგრამები, დონორები, საერთაშორისო დაფინანსების მექანიზმები და სხვა.

არსებობს სხვადასხვა საშუალება **ადგილობრივი დაფინანსების გარემოს განვითარებისათვის** ან ახალი ფინანსური შესაძლებლობების აღმოსაცენებლად საჭირო ხელსაყრელი წინაპირობის შექმნისათვის: ამის მაგალითებია მუნიციპალური დაფინანსების გამოყენება ადგილობრივ საწარმოთა დაკრედიტების წყაროების მხარდასაჭერად, დაკრედიტების წყაროს შექმნა არაკომერციული სტრუქტურით (როგორიცაა საკრედიტო კავშირები და საკრედიტო საბჭოები), კომერციული ბანკის წახალისება გახსნას ფილიალი თქვენს მუნიციპალიტეტში ან ადგილობრივი ბანკის წაქეზება გაამრავალფეროვნოს საკრედიტო შეთავაზებები.

მიწა და ინფრასტრუქტურა

შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის ნებისმიერი ტიპისა თუ ზომის ბიზნესს ესაჭიროება კონკრეტული ფიზიკური ადგილმდებარეობა და თანამედროვე სტანდარტებით კეთილმოწყობილი სივრცე: სახელოსნოები, ოფისები, წარმოებისა და მომსახურების სივრცე და სხვა. მუნიციპალიტეტებს შესაძლოა ხელეწიფებოდეთ **მიწის გამოყოფა** ამ მიზნით ან მსგავსი სივრცის შექმნის ინიცირება ან წახალისება.

ბიზნესის ინფრასტრუქტურა მოიცავს ძირითად სამუშაო გარემოს, ბიზნეს ინკუბატორებს, ინდუსტრიულ ზონებს (ე.წ. „მწვანე მონაკვეთი"/greenfield და „ყავისფერი მონაკვეთი"/brownfield), სამეცნიერო ან ტექნოლოგიურ პარკს და სხვა. მსგავს სივრცეში წარმოებული პროექტები შესაძლოა იყოს მასშტაბური, კომპლექსური და შეიცავდეს გარკვეულ რისკს, რაც საჭიროებს მუნიციპალიტეტებისა და კერძო სექტორის ერთად მუშაობას, რათა ეს ბიზნეს-სივრცე განვითარდეს და იქნას **გამოყენებული, სასარგებლო და ეკონომიკურად და ფინანსურად სიცოცხლისუნარიანი.** ყველა მსგავსი ბიზნეს-სივრცე საჭიროებს მინიმალურ კეთილმოწყობას, რათა ჩაერთონ საზოგადოებრივი სარგებლობის ქსელებსა (წყალი, ელექტრონეგერგია, გაზი) და ძირითად სერვისებში (ტელფონი, ინტერნეტი).

მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ **გამოავლინონ გამოუყენებელი მიწა ან ნაგებობა,** რომლის გამოყენებასაც შეძლებს ამა თუ იმ ტიპის ბიზნესი, ან გამოყოს ისეთი მიწის ნაკვეთები, რომელთა განვითარება ან გარდაქმნაც შესაძლებელია მომავალი გამოყენების მიზნით. მარკეტინგის გამოყენებით, კონკრეტული მიწის ნაკვეთი შესაძლოა შეთავაზებულ იქნას შესაბამისი ინვესტორისათვის ან იმ კომპანიებისათვის, რომლებიც გეგმავენ ადგილმდებარეობის შეცვლას.

უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა

.

მიუხედავად იმისა, რომ დასაქმების ადგილობრივი ოფისები არ იმართება მუნიციპალიტეტების მმართველობის მიერ, ამ უკანასკნელს მაინც შეუძლია შეასრულოს ინიციატორისა და შუამავლის როლი, რათა გააერთიანოს ბიზნეს სექტორი, დასაქმების ადგილობრივი ოფისები, პროფესიული განათლების ცენტრები და გადამზადების სექტორი, რათა დასახულ იქნას გზები ბიზნეს სექტორში საჭირო კვალიფიციის მქონე თანამშრომლების დასაქმებისათვის.

ამ სფეროში მიღებული ზომები შესაძლოა შეიცავდეს ე.წ. **„თანამშრომელთა შერჩევის/job matching"** სერვისს (დაზუსტება ბიზნეს სექტორთან თუ რა ტიპის მუშახელი ესაჭიროებათ, ვაკანსიების შესახებ განცხადებების უფასოდ გავრცელებისათვის საჭირო სივრცის უზრუნველყოფა, დაუსაქმებელთა ინფორმირება არსებული შესაბამისი ვაკანსიების შესახებ და სხვა) და **პროფესიული გადამზადების ინიცატივები** (კომპანიის მიერ მართული გადამზადების პროგრამები, სტაჟირების გავლა კომპანიაში და სხვა).

რეგიონის სამეწარმეო პოტენციალის გამოვლენა უმნიშვნელოვანესია. ეს შესაძლოა მიღწეულ იქნას მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნით (ინდივიდუალური მეწარმეები) და ასევე ბიზნესის დახმარების სერვისების წახალისებით, რომელიც ასევე მოიცავს ისეთ სერვისებს, რომლებიც **მიმართულია ტრადიციულად მოწყვლადი ჯგუფების (როგორიცაა ქალები და ახალგაზრდები) საჭიროებებზე საპასუხოდ.**

მუნიციპალიტეტებს, ასევე, შეუძლიათ ითანამშრომლონ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, რათა ერთად შექმნან სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების ქსელი და უზრუნველყონ ხელმისაწვდომი მომსახურებების მიწოდება, განსაკუთრებით იმ ჯგუფებისათვის, რომელთაც არ აქვთ წვდომა ტრენინგებზე ან შრომის ბაზარზე (როგორიცაა სტაჟირება ახალგაზრდებისათვის, ან საჭირო პირობების შექმნა ქალების ან მოწყვლადი თუ უმცირესობის ჯგუფების წევრების დასაქმებისათვის და სხვა). სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ სტაჟირების გავლისა თუ სამუშაო გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობების შეთავაზება იმ ჯგუფებისათვის, რომელთაც არ აქვთ წვდომა შრომის ბაზარსა და მის დამხმარე სისტემებზე.

გარე პოზიციონირება და მარკეტინგი

სხვა რომელი სახელმწიფო ორგანო, თუ არა ადგილობრივი ხელისუფლება, წარმოდგენილი ქალაქის მერის მიერ, არის სამართლებრივად უფლებამოსილი შექმნას, დახვეწოს და წარმოაჩინოს ამ რეგიონის დადებითი და ბიზნესისადმი მეგობრული იმიჯი. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ კარგი მმართველობის პრინციპების ერთგულება, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილებს მოცემული არეალის საერთო საზოგადოებრივი იმიჯისა. ამ იმიჯმა უნდა წარმოაჩინოს რეგიონის დადებითი და მიმზიდველი ასპექტები და ყურადღება გაამახვილოს იმ ფაქტორებზე, რაც ქმნის **კარგ პირობებს ცხოვრების, მუშაობის, ვიზიტისა და ინვესტირებისათვის ამ რეგიონში.**

მსგავსი მიდგომების განვითარება მოითხოვს საჯარო და კერძო სექტორებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევის გაერთიანებას, ისევე როგორც **„სარეაბილიტაციო/after-care“ სერვისების** შეთავაზება, მას შემდეგ რაც ინვესტორები დააფუძნებენ საკუთარ ბიზნესს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ინვესტორების რეგიონში დარჩენა და ინვესტირების გაგრძელება. ადგილობრივი მოსახლეობისათვის უსაფრთხო და კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნა თანაბრად მნიშვნელოვანია გარე პოზიციონირების პროცესში. მუნიციპალიტეტებს ასევე შეუძლიათ ადგილობრივად წარმოებული პროდუქციისა და სერვისების გაყიდვა.

რიგ შემთხვევებში, ასევე აუცილებელია მცირე, მაგრამ იმიჯის გამაძლიერებელი და **გამაუმჯობესებელი** ნაბიჯების გადადგმა ფიზიკური თუ ბუნებრივი გარემოსა და **ცხოვრების ხარისხის** ამაღლებისათვის. ზოგადად, მერებმა უნდა იმუშაონ ინვესტიციების სტიმულირების ადგილობრივ სააგენტოებთან, რათა უზრუნველყონ სააგენტოების მზადყოფნა პოტენციური ინვესტიციების გამოსავლენად და მოსაზიდად. მუნიციპალიტეტების მმართველობებს შეუძლიათ გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ეროვნული თუ საერთაშორისო დონის კავშირები, რათა უზრუნველყონ ადგილობრივი მეწარმეებისა და კომპანიებისათვის წვდომა ახალ ბაზრებზე და ხელი შეუწყონ ბიზნესების თანამშრომლობას.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების წარმატებული მაგალითები

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება გულისხმობს ადგილობრივ თანამშრომლობას იმ ქმედებებისა და პროექტების განხორციელებისათვის, რომლებიც შეესაბამება მთავარ გეგმას და შეუძლიათ ცვლილების მოხდენა. რადგანაც განვითარების გეგმა ეფუძნება თანამშრომლობას, ამიტომ ქმედებების დიდი ნაწილი

ასევე დამოკიდებულია თანამშრომლობაზე და საჭიროებს განვითარებისადმი ინტეგრირებულ მიდგომას; ამას შეუძლია მნიშვნელოვანი დამატებითი სინერგეტიკული ეფექტების მიღწევა, რაც ვერ იქნებოდა მიღწეული ვიწრო და იზოლირებული ნაბიჯების გადადგმის შედეგად. ქვემოთ მოყვანილია მაგალითები, რომლებიც წარმოადგენენ ევროკავშირში ახლად გაწევრებულ ან წევრობის კანდიდატ ქვეყნებს და თვალსაჩინოდ წარმოაჩენენ თუ რისი მიღწევა შეიძლება გაერთიანებული ძალისხმევით.

1) **ორლიჩკო** (მოსახლეობა 30,000), ჩეხეთის რესპუბლიკა, 2000-2004

მოცემულობა: ორლიჩკო სოფლის მეურნეობის რეგიონია ჩეხეთის რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც შედგება რამოდენიმე მცირე ზომის ქალაქისა და მრავალი სოფლისაგან, ასევე მთაგორიანი და ტყიანი ლანდშაფტის, მწირი სოფლის მეურნეობისა და რამოდენიმე საშუალო ზომის ქარხნისაგან.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პრობლემის გადაჭრა:

1. სამი ყველაზე დიდი ქალაქის მერმა დააფუძნა **ადგილობრივი ასოციაცია,** რომლის მთავარ მიზანსაც, სხვა დამატებითი მიზნების გარდა, წარმოადგენდა **ტურიზმის განვითარების სტიმულირება.**
2. დაფუძნდა **ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი** ჩეხეთის რკინიგზებთან თანამშრომლობის შედეგად.

შემუშავდა ახალი **ტურისტული პროდუქტები** (ალპინიზმი, ველოსპორტი, ნიჩბოსნობა და ცხენოსნობა) და ამასთან ერთად შეიქმნა სპეციალური **ტურისტული ინფრასტრუქტურა** (ველობილიკები, ტურისტული ბილიკები, საცოცი კედელი და ცხენოსნობის ცენტრი).

3. შემუშავდა ახალი **ტურისტული პროდუქტები** (ალპინიზმი, ველოსპორტი, ნიჩბოსნობა და ცხენოსნობა) და ამასთან ერთად შეიქმნა სპეციალური **ტურისტული ინფრასტრუქტურა** (ველობილიკები, ტურისტული ბილიკები, საცოცი კედელი და ცხენოსნობის ცენტრი).

შედეგები: ამ რეგიონს, ამჟამად, სტუმრობს ათასობით ტურისტი ყოველწლიურად, რომელთაც იზიდავთ სოფლის მეურნეობის ხიბლი და ტურისტული მარშრუტები. ამგვარად იზრდება ადგილობრივი შემოსავალი, რასაც სარგებელი მოაქვს ადგილობრივი სოფლის მაცხოვრებლებისათვის, ასევე სასტუმროების მეპატრონეებისა და სავაჭრო ობიექტებისათვის.

პროექტის თემატური ბლოკები:

- *ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება*
- *ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია*
- *გარე პოზიციონირება და მარკეტინგი*
- *წვდომა ფინანსებზე*
- *მიწა და ინფრასტრუქტურა*

2) **ზრენიანინი** (მოსახლეობა 70,000), სერბეთის რესპუბლიკა, 2003-2007

საწყისი მოცემულობა: ზრენიანინს ჰქონდა მოუვლელი ქალაქის ცენტრი, რომელსაც არ გააჩნდა განვითარებული სერვისები და მიმზიდველი იერსახე.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პრობლემის გადაჭრა:

1. ქალაქი ჩაერთო **დონორებით დაფინანსებულ ეკონომიკური განვითარების პროგრამაში** 2002 წელს და ამ პროექტის ფარგლებში შექმნა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (2003-2007).
2. მერის ინიციატივის თანახმად **დაფუძნდა ბიზნესის გაუმჯობესების რაიონული ასოციაცია** მეწარმეების, მაღაზიათა და უძრავი ქონების მფლობელთა მიერ ქალაქის ძველ უბანში.
3. დაახლოებით 200 ბიზნესი გაწევრიანდა აღნიშნულ ასოციაციაში, რომელმაც შემდგომ შეძლო **ფინანსური რესურსების მოზიდვა** (და მოიპოვა **ქალაქის მერიის მხარდაჭერაც**) და გაუმჯობესა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებისა და საცხოვრებლი სახლების ფასადები, მოაწყო ღონისძიებები ქალაქის ცენტრალურ ნაწილში და დაიწყო მარკეტინგული საქმიანობა უფრო მეტი ტურისტისა და დამთვალიერებლის მოსაზიდად.

შედეგები: 2007 წლისათვის მნიშვნელოვნად გაიზრდა ადგილობრივი ბიზნესის გაყიდვები და უძრავი ქონების ღირებულება ქალაქის ცენტრში. ზრდის ეს დინამიკა ამ დრომდეც გრძელდება.

პროექტის თემატური ბლოკები:

- *ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება*
- *ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია*
- *წვდომა ფინანსებზე*
- *მიწა და ინფრასტრუქტურა*
- *გარე პოზიციონირება და მარკეტინგი*

3) **ტრნავა** (მოსახლეობა 70,000), სლოვაკეთის რესპუბლიკა, 2002-2006

საწყისი მოცემულობა: ტრნავას ჰქონდა უმუშევრობის ძალზედ მაღალი მაჩვენებელი და ქალაქის ეკონომიკური გარდაქმნის პროცესი ნელა მიმდინარეობდა.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პრობლემის გადაჭრა:

1. ქალაქმა შექმნა **სპეციალური კომისია,** შემოსულ ინვესტორებთან ურთიერთობისა და მოლაპარაკებების წარმართვისათვის.
2. ამ პროცესს **წარმართავდა** ქალაქის **მერი** და მისი მოადგილე, რომელიც ასევე მოიცავდა **სხვა პარტნიორებსაც** (შრომის ადგილობრივი ბიურო, ადმინისტრაციული ორგანოები, დამგეგმავი ორგანოები და ინფრასტრუქტურის უზრუნველმყოფი დაწესებულებები).
3. 2003 წელს, პეჟო-სიტროენის ავტოკონცერნი (PSA) დაინტერესდა სლოვაკეთში ინვესტიციის ჩადებით და **ქალაქმა გადაწყვიტა ამ შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენება:** სპეციალურმა კომისიამ **შეარჩია შესაფერისი მიწის ნაკვეთი** და თავად აწარმოა მოლაპარაკებები დიდი რაოდენობის ადგილობრივ მესაკუთრეებთან, რათა ერთიანობაში მოექცია დიდი მასშტაბის სამშენებლო მონაკვეთი. კომისიამ, ასევე დახმარება გაუწია სამუშაოების წარმოების უფლების გაცემის პროცესს და შეასრულა შუამავლის როლი სახელმწიფო ორგანოებსა და ინვესტორებს შორის.

შედეგები: ქალაქმა მოიპოვა 25 მილიონი ევროს ოდენობის გრანტი, რათა მოემზადებინა სამშენებლო მონაკვეთი და უზრუნველეყო საჭირო ინფრასტრუქტურა. 2006 წელს ავტოკონცერნმა (PSA) მუშაობა დაიწყო ტრნავაში ჯერ კიდევ 2005 წელს მიღებული გადაწყვეტილებით გაეფართოებინა წარმოება. დღესდღეობით ტრნავას ავტოქარხანა ყოველწლიურად 300 000 ათას მანქანას აწარმოებს და დაახლოებით 5000-მდე ადამიანი ჰყავს დასაქმებული.

პროექტის თემატური ბლოკები:

- *ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება*
- *ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია*
- *საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები*
- *წვდომა ფინანსებზე*
- *მიწა და ინფრასტრუქტურა*
- *უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა*
- *გარე პოზიციონირება და მარკეტინგი*

ეს სამი მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ ლიდერობა, პარტნიორობა და ორგანიზაცია უმთავრესია წარმატებული ეკონომიკური განვითარებისათვის და რომ სწორედ მერი და მუნიციპალიტეტია ის, ვინც აძლევს ბიძგს ცვლილებებს.

- მერებსა და მუნიციპალიტეტების მმართველობებს შეუძლიათ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების წარმართვა და მასში წვლილის შეტანა: მათ აქვთ საკმარისი

ავტორიტეტი და უფლებამოსილება, რათა ითანამშრომლონ სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან და წარმოადგინონ მათი კერძო სექტორის ინტერესები.

- დიალოგსა და თანამშრომლობას მოაქვთ შედეგები: შესაბამისად, ადგილი სადაც ყველა იზოლირებულად მუშაობს - ვერ მიაღწევს მნიშვნელოვან შედეგებს.
- მუნიციპალიტეტებმა უნდა იმუშაონ სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად, რადგანაც მათ ყოველთვის არ გააჩნიათ სამართლებრივი თუ ტექნიკური ძალაუფლება მარტო მოქმედებისათვის.

M4EG ინიციატივის მუშაობის პრინციპი

M4EG ინიციატივა გულისხმობს ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარებულ მიდგომას, რომელსაც მუნიციპალიტეტები გადაყავს ცალკეული სტადიებისაგან შემდგარ განვითარების გზაზე.

თითოეული მუნიციპალიტეტი ინდივიდუალური ტემპითა და გაკეთებული არჩევანის მიხედვით გადადის თითოეული სტადიიდან მეორეზე: ზოგიერთმა, შესაძლოა, პროგრესს მალე მიაღწიოს და უმალ გადალახოს საწყისი სტადიები - ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ ისინი უკვე არიან საკმაოდ აქტიურად ჩართულნი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაგეგმის პროცესში ან უკვე აქვთ მზა და შესაბამისი გეგმა.

გაწევრების პროცესის განმავლობაში, ხელმომწერ სტრუქტურებს ეძლევათ წევრის სტატუსი, რომელიც იწყება **უმცროსი** წევრის წოდებით, რაც მოგვიანებით იცვლება **მოქმედი** წევრის სტატუსით და სულ ბოლოს სრულდება **სრული** წევრის წოდებით. ეს პროცესი თავისთავად გამოხატავს წევრის მიერ მიღწეულ წარმატებებსა და მიღწევებს.

.

ქვემოთ მოცემული სქემა ქმნის გარკვეულ წარმოდგენას აღნიშნული პროცესის თითოეულ სტადიაზე.

M4EG-ში გაწევრების პროცესი



M4EG-ის თითოეული სტადიის განმარტება

საწყისი სტადია: რეგისტრაცია

M4EG-ის სამდივნო უზრუნველყოფს პოტენციური ხელმომწერების სრულ ინფორმირებას იმ შესაძლებლობების შესახებ, რასაც ამ ინიციატივაში ჩართვა სთავაზობს მათ და აცნობებს იმ პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების შესახებ, რასაც ამ პროექტში მონაწილეობა გულისხმობს.

ინიციატივაში ჩართვის მსურველი მუნიციპალიტეტები უნდა აკმაყოფილებდნენ გარკვეულ კრიტერიუმებს: უპირველეს ყოვლისა, უნდა მომზადდეს ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც იქნება მტკიცებულება იმისა, რომ ეს საერთო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ფართო მასშტაბით ჩატარებული კონსულტაციების შედეგად სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და საჯარო სექტორის სხვა აქტორების თანამონაწილეობით. ამ პროცესს, რომელიც ასევე უნდა მოიცავდეს M4EG-ის პროცესებისა და ვალდებულებების განხილვას, როგორც წესი, ხელმძღვანელობს ქალაქის მერი. ამ სტადიაზე საჭიროა საფუძველი ჩაეყაროს „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების თანამშრომლობას“, რამაც უნდა შეასრულოს მამოძრავებელი მუხტის როლი და უზრუნველყოს ადგილობრივი ძალისხმევის განუხრელი მიმართვა M4EG-ის ვალდებულებების შესრულებისადმი.

გარდა ქალაქის მერისა, უნდა იქნას გამოყოფილი კიდევ ერთი თანამშრომელი, რომელსაც დაეკისრება „დამაკავშირებელი რგოლის“ ფუნქცია. მას დაეკისრება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და ანგარიშგების პროცესების აღნუსხვა და შეასრულებს M4EG-ის სამდივნოსთან მთავარი საკონტაქტო პირის მოვალეობებს.

ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სარეგისტრაციო ფორმა (იხილეთ **დანართი 1**) უნდა იყოს ხელმოწერილი თავად მერის მიერ და გაგზავნილ იქნას M4EG-ის სამდივნოში, რათა მუნიციპალიტეტს მიენიჭოს **M4EG-ის უმცროსი წევრის** სტატუსი და მიეცეს წვდომა არსებულ დახმარების სისტემაზე.

სტადია 1: დაგეგმვის დაწყება

პირველი სტადია საკმაოდ დატვირთულია გაანალიზების პროცესის მხრივ და შეიძლება დანაწევრებულ იქნას რამოდენიმე ფაზად.

თავდაპირველად, უნდა გაანალიზდეს ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურა და მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს **ადგილობრივ კერძო სექტორს** სამრეწველო, სოფლის მეურნეობისა და მომსახურების სფეროებში. ადგილობრივი კერძო სექტორი წარმოადგენს ადგილობრივი ეკონომიკის ფუნდამენტს და მის მთავარ პლატფორმას ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის. სამეწარმეო სექტორები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ისევე როგორც მომსახურების სფეროები, რომლებც ვაჭრობენ რეგიონს მიღმა. ეს ანალიზი გამოავლენს ყველაზე მეტად იმედისმომცემ სექტორებს, ქვე-სექტორებსა და ნიშებს, რომელთაც შეუძლიათ ადგილობრივი მუხტისა და ძრავის როლი შეასრულონ ეკონომიკური ზრდის პროცესში. იგი, ასევე, მიმართულებას მისცემს ადგილობრივი

ეკონომიკური განვითარების ძალისხმევას და განსაზღვრავს იმ საწყის მონაცემებსა და მნიშვნელოვან პარამეტრებს, რომელსაც დაეფუძნება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა.

ამ ეკონომიკურ ანალიზს შემდეგ მოყვება M4EG-ის თემატური ბლოკების ანალიზი, სადაც მკვეთრი ყურადღება მიექცევა იმ ნაწილებს, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება ამა თუ იმ კონკრეტულ მუნიციპალიტეტსა თუ ქალაქს. თემატური ბლოკების ანალიზში ცენტრალური ადგილი უნდა დაეთმოს შემდეგს: თითოეულ თემატურ ბლოკში მნიშვნელოვანი აქტორების განლაგება, მათი სისტემური ურთიერთქმედების გამოვლენა, საქმიანი კომუნიკაციის წარმატებულად გამოყენების მოდელების გამოყოფა და გამოტოვებული ელემენტების გამოვლენა.

სტადია 2: დაგეგმვის დასრულება

ამ სტადიის საბოლოო შედეგი უნდა იყოს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (LEDP) - მოკლე (10-15 გვერდი), მაგრამ ძალზედ ფოკუსირებული დოკუმენტი. თითოეულმა წევრმა თავისი განვითარების გეგმა უნდა წარადგინოს დარეგისტრირებიდან 1 წლის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ამოვარდებიან M4EG-ის ინიციატივის წევრთა რიგებიდან.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა უნდა შეიცავდეს პრობლემების გადაჭრის გზების ჩამონათვალს ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი ელემენტებისათვის და უნდა განსაზღვრავდეს სამოქმედო გეგმას იმ ღონისძიებებისათვის, რომლებიც უნდა განხორციელდეს 2 წლის გამავლობაში. გეგმაში ასევე მოცემული უნდა იყოს შეთავაზებული ღონისძიებების წინასწარი ხარჯთაღირცხვა და მიეთითოს გეგმის განხორციელების საკონტროლო ინდიკატორები.

მთავარი დოკუმენტი შესაძლოა დაიწეროს ადგილობრივ ენაზე, თუმცა ერთგვერდიანი მოკლე შეჯამება უნდა დაერთოს ინგლისურ ენაზე, სადაც ახსნილი და მოცემული იქნება ჩარევის საჭიროება, სამოქმედო გეგმა, წინასწარი ხარჯთაღრიცხვა და განხორციელების საკონტროლო ინდიკატორები. დაგეგმვის პროცესი უნდა დაემთხვეს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისათვის დამახასიათებელ პრინციპებსა და პრაქტიკულ მაგალითებს, იმ განსხვავებით, რომ ეს გეგმა არ მოიცავს ყველა სექტორს და სანაცვლოდ, ყურადღებას გაამახვილებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ მამოძრავებლებზე.

ეკონომიკური განვითარების თითოეული თანამშრომლობა შეიმუშავებს თვითკონტროლის სქემას, რომლის მიზანიც იქნება მიღებული შედეგების შედარება დაგეგმილ ღონისძიებებთან. ეს სქემა გახდება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განუყოფელი ნაწილი და სპეციალური ბაზისი, რის საფუძველზეც ხელმომწერი მხარე ოფიციალურად შეატყობინებს M4EG-ის სამდივნოს მიღწეული შედეგების შესახებ.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შესადგენი სტრუქტურის ნიმუში შეგიძლიათ იხილოთ **2-ე დანართში.**

სტადია 3: გეგმის წარდგენა და შეფასება

მესამე სტადიაზე, შეთანხმებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა ოფიციალურად გაეგზავნება M4EG-ს. დაგეგმვის პროცესების ხარისხის წინასწარი შემოწმების შემდეგ (სრულდება M4EG-ის სამდივნოს მიერ), ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა გადაითარგმნება ინგლისურ ენაზე და გაეგზავნება მსოფლიო ბანკს განსახილველად. მსოფლიო ბანკის ექსპერტები შეაფასებენ გეგმის ხარისხსა და განხორციელებადობას და შესაძლოა მოამზადონ შეთავაზებები, გეგმის ხარისხის ოფიციალურ სერტიფიცირებამდე გარკვეული პერიოდით ადრე. თარგმანის მომზადებისა და ექსპერტების უკუკავშირის მისაღებად საჭირო დროის გათვალისწინებით, ეს სტადია, სავარაუდოდ, ერთ თვის პერიოდს მოიცავს.

მას შემდეგ რაც ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა ოფიციალურად იქნება დამტკიცებული, ხელმომწერ მხარეს მიენიჭება **M4EG-ის მოქმედი წევრის** სტატუსი და მიეცემა უფლება აქტიური ბრენდინგისა და პოზიციონირების დასაწყებად.

სტადია 4: გეგმის განხორციელება

მას შემდეგ რაც გეგმის ხარისხი დადასტურდება, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობა, მართული მუნიციპალიტეტის მიერ, დაიწყებს გეგმის მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელებას (M4EG-ის სამდივნოს სპეციალური ტექნიკური დახმარებისა და საგრანტო დაფინანსების მეშვეობით). თითოეული მუნიციპალიტეტი გეგმის განხორციელებას სხვადასხვა ვადებში შეძლებს, თუმცაღა იმ ხელმომწერებმა, რომლებიც ადრეულად ჩაერთვნენ ინიციატივაში, შესაძლოა მოახერხონ M4EG-ის სამდივნოს მიმდინარე პროექტის მუშაობის ვადის ამოწურვამდე დაასრულონ პროცესი და ამგვარად ისარგებლონ მხარდაჭერით მთელი პროცესის განმავლობაში.

იმისათვის, რომ შეინარჩუნონ **M4EG-ის აქტიური წევრის** სტატუსი, ხელმომწერებმა M4EG-ის სამდივნოში ყოველ ექვს თვეში ერთხელ უნდა წარადგინონ მოკლე ანგარიში მიღწეული შედეგების შესახებ, რომელიც მოიცავს გეგმის განხორციელების მიმდინარეობას, მიღწევების შეჯამებას მოცემულ თარიღამდე, მიღებულ გამოცდილებებსა და შესწორებების შეტანას იქ, სადაც ეს საჭიროა.

სტადია 5: შედეგების მიღწევა (ცვლილებები)

იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული ხელმომწერი ქალაქი განვითარების გეგმას სხვადასხვა ტემპით შეასრულებს, სხვადასხვა გეგმაში გაწერილი ღონისძიებები ერთმანეთისაგან განსხვავებული იქნება თავისი არსითა და ვადებით - ეს ფაქტორები საკმაოდ აძნელებს ხელშესახები შედეგების მიღების ზუსტი თარიღის განსაზღვრას. დროის ხანგრძლივი მონაკვეთია საჭირო იმისათვის, რომ ეს შედეგები თვალსაჩინო გახდეს და აისახოს სანდო სტატისტიკურ მონაცემებში (ეფექტის ინდიკატორები); თუმცა გეგმის შესრულების დაწყებიდან ნახევარ ვადაში (ანუ 12 თვის შემდეგ) სავსებით შესაძლებელია, რომ პირველი საგრძნობი და გაზომვადი შედეგები გამოჩნდეს, რაც ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებითა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებით გამოიხატება.

(ადგილობრივი განვითარების იმ გეგმამ, რომელიც არ მოიცავს კომპლექსურ, დროში გაწელილ და ძვირადღირებულ ღონისძიებებს, შესაძლოა შედეგები გაცილებით ადრე აჩვენოს). M4EG-ის სამდივნო ყურადღებით შეამოწმებს ამ ცვლილებებს, რომლებიც მას ხელმომწერების ანგარიშების მეშვეობით მიეწოდება და უზრუნველყოფს საჭირო ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკული მაგალითების გაზიარებას მთელს რეგიონში.

იმ ხელმომწერ ქალაქებს, რომლებიც შეძლებენ საკუთარი გეგმის 70%-ით შესრულებას და აღნუსხავენ განზრახული ტრანსფორმაციის პროცესს ეკონომიკური განვითარების შესაბამისი პარამეტრების გამოყენებით, მიენიჭებათ **M4EG-ის სრული წევრის** სტატუსი. ამ ყველაფრის მიღწევა იქნება მიმანიშნებელი იმისა, რომ ხელმომწერი წევრები სრულად ჩაერთვნენ M4EG-ის საზოგადოებაში პროგრესული ხელსაწყოების გამოყენებით და საფუძველი ჩაუყარეს პარტნიორებთან თანამშრომლობას საკუთარი რეგიონის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

M4EG-ის სამდივნო დახმარებას გაუწევს ხელმომწერ ქალაქებს, რათა მათ მიერ მიღწეული შედეგები იყოს მდგრადი, ურჩევს შემდგომი ღონისძიებების გატარებას ადგილობრივი ეკონომიკური თანამშრომლობისა და პარტნიორობის გასაღრმავებლად და დაეხმარება დარჩნენ M4EG-ის ფასეულობებისა და პრინციპების ერთგულნი.

M4EG-ის სამდივნოს როლი

ხუთივე სტადიის განმავლობაში, M4EG-ის სამდივნო მისი ცენტრალური ოფისისა და EaP-ის ქვეყნებში მოქმედი ადგილობრივი ფილიალების მეშვეობით, წარმოადგენს მთავარ საკონტაქტო ორგანოს ხელმომწერი ქალაქებისათვის (და მათთვის ვინც დაინტერესებულია ინიციატივაში ჩართვით), ისევე როგორც მოცემულ რეგიონში ევროკავშირის ინიციატივების თემატიკის, პოტენციური ინვესტორებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისათვის.

ხელმომწერებისათვის სამდივნო შეასრულებს ორმაგ როლს: 1) მთავარი დახმარების გამწევისა და 2) M4EG-ის პროცესებისა და შედეგების მაკონტრალებელი ორგანოს როლებს. ამ ორივე ფუნქციის შესახებ ქვემოთ მოცემულია დეტალური ახსნა-განმარტება:

M4EG-ის სამდივნოს დახმარება

M4EG-ის სამდივნოს აქვს შესაბამისი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მიაწოდოს დაზუსტებული და ოპერატიული ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებსა და ხელმომწერებს. იგი ასევე უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და ტექნიკური დახმარების გაწევას (დაეხმარება ხელმომწერებს სხვადასხვა სტადიის წარმატებით გავლაში) ასევე, ორგანიზებას გაუწევს სპეციალურად შექმნილი ტრენინგების ჩატარებასა და ექსპერტების დახმარების გაწევას, ხელმომწერების ინდივიდუალური მოთხოვნებისა და საჭიროებების მიხედვით.

დახმარება, რომელსაც სამდივნო გაუწევს ხელმომწერ ქალაქებს, ზოგადად მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- ექსპერტთა კონსულტაცია;
- ინფორმაციის/ცოდნის დაგროვება;
- სტრატეგიული პარტნიორობის დაწყება;
- შესაძლებლობების განვითარება ქვემოთ მოყვანილი (და არა მარტო) ასპექტების გათვალისწინებით:
    - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა;
    - პროექტზე დაფუძნებული მიდგომა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისადმი;
    - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გონიერი გადაწყვეტები;
    - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ფინანსური და სხვა სახის უზრუნველყოფა;
    - თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისათვის;
- მაღალი ცნობადობის უზრუნველყოფა M4EG-ის ხელმომწერებისათვის.

თითოეულ სტადიაზე ხელმისაწვდომი დახმარების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი 1 („M4EG-ის პროცესების ახსნა“).

მონიტორინგი

M4EG ინიციატივის სხვადასხვა სტადიის გავლის პროცესში, სამდივნო შეასრულებს მთავარი ადმინისტრაციული და ხარისხის კონტროლის ორგანოს ფუნქციას (ზოგიერთ სტადიაზე მას დახმარებას გაუწევს მსოფლიო ბანკი).

M4EG-ის ხელმომწერი ქალაქის საქმიანობის შეფასებისას შეფასდება ოთხი ასპექტი (სტადიისდა მიხედვით):

I. დაგეგმვის პროცესის ხარისხი;
II. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (ხელმომწერის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი);
III. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხორციელების პროცესი;
IV. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების შედეგებისა და ეფექტის შეფასება

ქვემოთ დეტალურადაა ახსნილი თითოეული ასპექტის მახასიათებლები, მათი კავშირი M4EG სტადიებთან და მონიტორინგის შესაბამისი ხელსაწყოები.

I. დაგეგმვის პროცესის ხარისხი

რეგისტრაციის სტადიიდან **დაგეგმვის დასრულებამდე,** ხარისხის კონტროლისას მთავარი ყურადღება მიექცევა იმას, თუ როგორ იყო დაგეგმვის პროცესი აწყობილი და რამდენად ღიად და ერთობლივად წარიმართა ეს პროცესი; ასევე იმ ფაქტორს, მომზადდა თუ არა ძირითადი ანალიზი თანმიმდევრულად და ლოგიკურად და დაეყრდნო თუ არა კონკრეტულ მონაცემებს. გარდა ამისა, ასევე შესრულდება საკონტროლო ვიზიტები, თუმცა ხარისხის კონტროლი, ამ სტადიების განმავლობაში, ძირითადად დაეფუძნება იმ დოკუმენტაციას, რომელიც მოყვანილი იქნება დასრულებულ გეგმაში (ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების თანამშრომლობის შემადგენლობა, ადგილობრივი

ეკონომიკური განვითარების თანამშრომლობის შეხვედრების ოქმები, დაგეგმვის თათბირების დოკუმენტაცია, უკვე არსებული გეგმა თუ გამოყენებული კვლევები და სხვა).

II. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (the LDEP)

იმ სტადიების განმავლობაში, როდესაც ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა იქნება **წარდგენილი** და **შეფასებული**, მათი ხარისხი შემოწმდება მსოფლიოს ბანკთან თანამშრომლობით და იმ ძირითად კრიტერიუმებზე დაყრდნობით, როგორებიცაა დაგეგმილი ღონისძიებების გამაერთიანებელი ლოგიკა, შეთავაზებული გადაწყვეტების რელევანტურობა და განხორციელებადობა, განხორციელების ეფექტურობის ინდიკატორები და მაჩვენებლები, განვითარების მდგრადობის გათვალისწინება და სხვა.

III. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხორციელება

განხორციელების სტადიის განმავლობაში, M4EG-ის სამდივნო შეამოწმებს ხელმომწერი ქალაქების პროგრესს, იმ ღონისძიებებისა და ქმედებების განხორციელების პროცესში, რომლებიც გაწერილი იყო მათი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმაში. რეგულარულად, წელიწადში ორჯერ, სპეციალური ანგარიშები იქნება გამოთხოვნილი, შეფასებული და აღნუსხული M4EG-ის სამდივნოს მიერ. ამ სტადიაზე შეფასების ძირითად კრიტერიუმებს შეადგენს შემდეგი:

1. მიმდინარეობს თუ არა გეგმის განხორციელება დაწესებულ ვადებში და მისი შინაარსის მიხედვით (გადაცდენები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ შეფასებებს: „მიმდინარეობს განრიგის წინსწრებით“, „მიმდინარეობს გეგმის მიხედვით“, „ოდნავ ჩამორჩება გეგმას“, „ძალზედ ჩამორჩება გეგმას“.).
2. მოცემულ თარიღამდე რეალურად განხორციელებული ღონისძიებების პროცენტული მაჩვენებელი (ან იმ ქმედებებისა, რომელთა განხორციელებაც დაწყებულია) შედარებული დაგეგმილი ღონისძიებების რაოდენობასთან.
3. ფინანსური რესურსების ოდენობა, რომელიც დე ფაქტო გამოყოფილია გარე წყაროების მიერ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხორციელებისათვის მოცემულ თარიღამდე და შედარებული დაგეგმილ ფინანსებთან (%).

IV. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების შედეგებისა და ეფექტის შეფასება

ბოლო სტადიაზე, რომელსაც **შედეგების მიღწევა/ეფექტი** ეწოდება, ხელმომწერ მუნიციპალიტეტთა ძალისხმევა უკვე უნდა გამოჩნდეს თვალსაჩინოდ სამომხმარებლო ინდიკატორებში, რომლებიც წინასწარ იყო განსაზღვრული განვითარების გეგმაში. საწყის მოცემულობასთან შედარებით მიღწეული შედეგების შეფასება მოხდება ხელმომწერი ქალაქის წარდგენილი ანგარიშების მიხედვით, ხოლო წარმატებულ მაგალითები შეგროვდება და გავრცელდება M4EG-ის სრული მასშტაბით.

დამატებით, ქვემოთ მოყვანილია ძირითადი ინდიკატორები[3], რომლებიც შეიძლება იყოს რეკომენდებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხორციელების ხანგრძლივი ეფექტის გასაზომად EaP-ის მთელ რეგიონში:

1) რეგიონში შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა;
2) გაზრდილი შემოსავალი გადასახადებიდან (%), იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი საგადასახადო სისტემა საშუალებას იძლევა ადგილობრივი გადასახადების მოკრება მოხდეს ქალაქების/მუნიციპალიტეტების მიხედვით;
3) გაზრდილი ინვესტიციების ოდენობა რეგიონში (საერთო ოდენობა ევროში).

M4EG-ის სამდივნოს მხარდაჭერისა და მონიტორინგის ფუნქციები თითოეული სტადიისათვის ცალ-ცალკე და დეტალურადაა ახსნილი ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

[3] ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ეფექტის გაზომვა უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, რათა მათ შეძლონ შეაფასონ საკუთარი საქმიანობა. თუმცა, ხელშესახები და გაზომვადი შედეგების მიღწევა საჭიროებს გარკვეულ დროს, რაც შესაძლოა საკმაოდ გასცდეს M4EG-ის სამდივნოს პროექტის ვადებს. მოცემული ინდიკატორები მოყვანილია მხოლოდ შეთავაზების მიზნით ხელმომწერი ორგანოებისათვის, როგორც თვითშეფასების ხელსაწყო. M4EG-ის სამდივნო არ მოითხოვს ზემოთ მოცემული მიზნების დასახვას ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმაში და არც ანგარიშის ჩაბარებას მიღწეული შედეგების შესახებ.

ცხრილი 1. M4EG-ის პროცესების ახსნა

სტადია	*აღწერა*	*ხელმისაწვდომი დახმარება*	*მონიტორინგი*
რეგისტრაცია	- პოტენციური ხელმომწერები სრულად არიან ინფორმირებულნი M4EG ინიციატივის შესაძლებლობებისა და აღებული პასუხისმგებლობის შესახებ. - LED პარტნიორობა ფორმდება. - დარეგისტრირება შესაძლებელია დროის ნებისმიერ მონაკვეთში. - მოპოვებული სტატუსი: ***M4EG-ის უმცროსი წევრი***	- ფართო საინფორმაციო კამპანია და რეგისტრაციის მხარდაჭერა M4EG-ის სამდივნოს მიერ. - ტექნიკური დახმარების სამსახურის ამოქმედება თითოეულ ქვეყანაში.	<u>დაგეგმვის პროცესის</u> ხარისხობრივი კრიტერიუმები: ✓ შეირჩევა მუნიციპალური დამაკავშირებელი რგოლი, რომელიც პასუხისმგებელია M4EG-ს საქმიანობაზე, თითოეული სტადიის განმავლობაში. ✓ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორები და მუნიციპალიტეტი იზიარებენ აღებულ პასუხისმგებლობას.
დაგეგმვის დაწყება	- საჭიროებს ხელმომწერი მუნიციპალიტეტების შეფასებას. - LED პარტნიორობა აანალიზებს ადგილობრივ ეკონომიკურ სტრუქტურებს M4EG ინიციატივის თემატური ბლოკების მიხედვით. - საწყისი მოცემულობა განსაზღვრულია.	- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის შესაძლებლობების გაფართოვება. - კონსულტაცია თითოეული ანალიზის მიზეზის, პროცესის, მეთოდებისა და ინსტრუმენტების შესახებ. - შერჩეულ საკითხებზე სპეციალური ექსპერტების დახმარება. - ხარისხის კონტროლი/უკუკავშირი ექსპერტებისაგან.	<u>დაგეგმვის პროცესის</u> ხარისხობრივი კრიტერიუმები. დაგეგმვის პროცესი უნდა გულისხმობდეს შემდეგს: ✓ იყოს რეგულარული ხასიათის; ✓ წარმოადგენდეს ერთობლივ ნამუშევარს; ✓ დაეფუძნოს რეალურ მონაცემებს; ✓ დაეფუძნოს დაინტერესებული მხარეების ერთსულოვან შეთანხმებას.
დაგეგმვის დასრულება	- LED პარტნიორობა განსაზღვრავს ხედვასა და მიზნებს და ათანხმებს საწყისი ქმედებების ჩამონათვალს. - LED გეგმა შემუშავებულია, ადგილობრივი ეკონომიკური მამოძრავებლები გამოვლენილი და სამოქმედო გეგმა გაწერილი. მუნიციპალიტეტის მიერ მართული, საჯარო-კერძო სექტორების LED პარტნიორობა ყალიბდება და თანხმდება შემდგომ სამოქმედო გეგმაზე.	- შერჩეულ საკითხებზე სპეციალური ექსპერტების დახმარება. - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის შესაძლებლობების გაფართოვება. - კონსულტაცია თითოეული ანალიზის მიზეზის, პროცესის, მეთოდებისა და ინსტრუმენტების შესახებ. - ხარისხის კონტროლი/ უკუკავშირი ექსპერტებისაგან.	<u>დაგეგმვის პროცესის</u> ხარისხობრივი კრიტერიუმები. LEDP-ის დასკვნები და მთავარი დებულებები უნდა: ✓ დაეფუძნოს გადამოწმებულ ინფორმაციასა და მონაცემებს; ✓ წარმოადგენდეს ერთობლივ ნამუშევარს; ✓ დაეფუძნოს მხარეების ერთსულოვან შეთანხმებას.
გეგმის წარდგენა/ შეფასება	- LEDP-ს წარდგენისა და დამტკიცების შემდგომ, ხელმომწერ მუნიციპალიტეტებს შეეძლებათ წევრობის შემდგომ სტადიაზე გადასვლა, რაც გულისხმობს შესაბამის ბრენდინგსა და დაფინანსების სერვისებზე წვდომას, რასაც M4EG-ის სამდივნო უზრუნველყოფს. - მოპოვებული სტატუსი: ***M4EG-ის მოქმედი წევრი.***	- ტექნიკური მხარდაჭერა მსოფლიო ბანკისაგან. - LEDP-ს ხარისხის კონტროლი, განხორციელებული M4EG-ის სამდივნოსა და DG NEAR-ის მიერ (ევროკომისიის ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების მოლაპარაკებების გენერალური დირექტორატი) და ასევე სპეციალური უკუკავშირის უზრუნველყოფა.	- ზემოთ მოყვანილი <u>დაგეგმვის პროცესის</u> ხარისხობრივი კრიტერიუმები წინასწარ შემოწმდება M4EG-ის სამდივნოს მიერ. - LEDP-ს განხორციელებადობისა და ხარისხის კონტროლი შესრულდება მსოფლიო ბანკის მიერ და დასრულდება ოფიციალური სერტიფიცირებით.

გეგმის შესრულება/ შედეგების ჩაბარება	- M4EG -ის ხელმომწერთა კლუბის წევრობა. - ტრენინგი, სასწავლო ტურები და თემატური სემინარები მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა და ადგილობრივი პარტნიორებისათვის. - თანამშრომელთა გაცვლის ინსტრუმენტები საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარებისთვის. . - ხელმომწერები წარადგენენ ანგარიშებს (წელიწადში ორჯერ) M4EG-ის სამდივნოში	- მოთხოვნით მართული და პროაქტიური შესაძლებლობების გაფართოება და კონსულტაცია LEDP-ს განხორციელებაზე, განხორციელების შეფასება (ტრენინგი, საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება და სასწავლო ვიზიტები, თანამშრომლების გაცვლა და ა.შ); - დახმარება გრანტის შესაძლებლობების მოძებნის, საპროექტო განაცხადის მომზადებასა და საგრანტო პროექტების განხორციელებაში; - დახმარება რეკლამირებისა და მარკეტინგის კუთხით; - ზოგიერთი საპილოტე პროექტის დაფინანსება, რომელიც თვალნათლივ აჩვენებს თუ როგორ შეიძლება LED ღონისძიებების განხორციელება პრაქტიკაში.	<u>განხორციელების პროცესის</u> ხარისხის კონტროლის კრიტერიუმები. მონიტორინგი ხორციელდება M4EG-ის სამდივნოს მიერ და ეფუძნება რეგულარულ (წელიწადში ორჯერ) წარსადგენ ანგარიშებსა და ცნობებს, მომზადებულს ხელმომწერი მუნიციპალიტეტების მიერ. შეფასების მთავარი ინდიკატორებია: ✓ "გეგმის მიხედვით"/"ჩამორჩება გეგმას" – ოთხი სტადია; ✓ (%) პროცენტული მაჩვენებელი იმ LEDP ღონისძიებებისა, რომლებიც უკვე განხორციელდა (ან რომელთა განხორციელებაც დაწყებულია); ✓ (%) პროცენტული მაჩვენებელი გეგმის შესასრულებლად საჭირო იმ საბიუჯეტო მოთხოვნების, რომლისთვისაც დე ფაქტო გამოყოფილია ფინანსური რესურსები (მათ შორის გარე წყაროებიდანაც).
შედეგების მიღება/ ეფექტი	- ადგილობრივ ხელისუფლებას 70%-ით მაინც აქვს შესრულებული გეგმა და ავლენს პასუხისმგებლობას LED-ის შემდგომი განხორციელებისათვის. - კერძო სექტორი უწყვეტლივ ჩართულია პროცესში. - დაწყებულია განხორციელების მონიტორინგი. - თვითრეგულირებადი გარდაქმნის პროცესი დაწყებულია და ვითარდება. მოპოვებული სტატუსი: ***M4EG-ის სრული წევრი.***	- ანგარიშის რეგულარულად ჩაბარება M4EG-ის სამდივნოსათვის, შედეგებისა და წარმატებული მაგალითების გავრცელება M4EG-ის სრული მასშტაბით და მისი საკომუნიკაციო ინსტრუმენტების გამოყენებით. - კავშირი საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებსა და პოტენციურ ინვესტორებთან. - შერჩეულ საკითხებზე სპეციალური ექსპერტების დახმარება. - დახმარება რეკლამირებისა და მარკეტინგის კუთხით. - წვდომა საერთაშორისო პარტნიორებზე.	<u>შედეგებისა და ეფექტის</u> შესაფასებელი კრიტერიუმები. ეფექტი იზომება სპეციალური ინდიკატორების მეშვეობით, რომლებიც გაწერილია თითოეულ LEDP გეგმაში და დამტკიცებულია მსოფლიო ბანკის მიერ. <u>ძირითადი ეფექტის</u> ინდიკატორები: 1. ახლად შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა; 2. შემოსავლის ზრდა ადგილობრივი გადასახადებიდან (%); 3. რეგიონში განხორციელებული ინვესტიციების ზრდა (სრული ოდენობა ევროში).

საგრანტო მხარდაჭერა

ევროკავშირი გამოყოფს ფინანსურ დახმარებას ზოგიერთი საგრანტო პროექტის განხორციელებისათვის, რომლებიც კავშირშია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმასთან EaP-ის მთელი მასშტაბით. M4EG-ის პიონერი ქალაქებისათვის საგრანტო კონკურსის გამოცხადების შედეგად (2017 წლის პირველი კვარტალი), დაფინანსდება საუკეთესო პროექტები იმის საჩვენებლად, თუ როგორაა შესაძლებელი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმიდან აღებული კონკრეტული ქმედებების განხორციელება პრაქტიკაში.

M4EG-ის სამდივნო საკუთარ დახმარებასა და მხარდაჭერას შესთავაზებს გრანტის ყველა პოტენციურ მიმღებს პროექტის შეთავაზების მომზადების პროცესში; თუმცა, აპლიკანტებმა თავად უნდა მოამზადონ პროექტის შეთავაზების დოკუმენტი.

იმისათვის, რომ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმაში გაწერილი ღონისძიებები დააფინანსონ, ქალაქის მერებს დასჭირდებათ გამოიყენონ ეროვნული და რეგიონული საბიუჯეტო რესურსები და დროთა განმავლობაში ითანამშრომლონ სხვა (საერთაშორისო) დონორებთან - განსაკუთრებით კერძო სექტორის ინვესტორებთან.

M4EG-ის სამდივნო დახმარებას გაუწევს მუნიციპალიტეტებს გამოავლინონ დაფინანსების პოტენციური წყაროები გაწერილი ღონისძიებებისა და პროექტების დასაფინანსებლად.